

პროდუქტის დაბრუნებისა და შეცვლის პოლიტიკა

1. პროდუქტის დაბრუნების და შეცვლის პირობები:

1.1 შპს „აიპი რეგისტრის“ სერვისის - AETIS.GE - [შემდგომში: კომპანია], წინამდებარე პროდუქტის დაბრუნების და შეცვლის პოლიტიკის გათვალისწინებით, მომსახურების მიმღებ პირს [შემდგომში: მომხმარებელი] შეუძლია მოითხოვოს კომპანიის მიერ ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით გაცემული ხარვეზიანი სერთიფიკატის [შემდგომში: დოკუმენტი] დაბრუნება და შეცვლა.

2. პროდუქტის დაბრუნების და შეცვლის წესი:

2.1 კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის ელექტრონული სერთიფიკატის გაცემის შემდგომ ან/და ბეჭდური სახით ხარვეზიანი დოკუმენტის გაცემის შემთხვევაში, მომხმარებელს აქვს უფლება შეატყობინოს კომპანიას ხარვეზის შესახებ **3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში**, კომპანიის ელ-ფოსტაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, ხარვეზის დადგენიდან, ან იმ დროიდან, როდესაც ხარვეზის დადგენა ობიექტურად უნდა ყოფილიყო შესაძლებელი მომხმარებლის მიერ.

2.2 კომპანია ბეჭდური სერთიფიკატის გაცემის შემთხვევაში დაიბრუნებს მას და უხარვეზო დოკუმენტს გადასცემს მომხმარებელს, ხოლო ელექტრონული სერთიფიკატის გაცემის შემთხვევაში აღმოფხვრის ხარვეზს და გასწორებულ დოკუმენტს მომხმარებელს აუტვირთავს AETIS.GE-ის პირადი ანგარიშის გვერდზე.

2.3 კომპანიის ვალდებულება, დაიბრუნოს და შეცვალოს ხარვეზიანი დოკუმენტი, ვრცელდება მხოლოდ ტექნიკური ხარვეზით, ბეჭდური ხარვეზითა და კომპანიის სერვისის გაუმართაობით გამოწვეული ხარვეზების აღმოფხვრაზე, ხოლო კომპანია არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ სერვისის სარგებლობისას, მონაცემების არასწორად, არასრულად შეყვანით გამოწვეული ხარვეზიანი დოკუმენტის დაბრუნებასა და შეცვლაზე.

3. პროდუქტის დაბრუნებისა და შეცვლის ვადები:

3.1. მომხმარებლის მიერ წინამდებარე დოკუმენტის მე-2 პუნქტში მოცემული ვადის ფარგლებში და მე-4 პუნქტში განსაზღვრული წესების შესაბამისად, კომპანიის მიერ ელექტრონული ან/და ბეჭდური სახით ხარვეზიანი დოკუმენტის შესახებ კომპანიისთვის ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, კომპანია დაიბრუნებს და შეუცვლის მომხმარებელს სერთიფიკატს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მარეგულირებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა

4.1. კომპანიის სერვისით სარგებლობისა და მომსახურების პირობები რეგულირდება ვებსაიტზე - AETIS.GE [შემდგომში: ვებსაიტი] - განთავსებული მოხმარების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას კომპანიასა და მომხმარებელს შორის წინამდებარე დაბრუნებისა და შეცვლის პოლიტიკიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით, გადაწყდება კომპანიასა და მომხმარებელს შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიმართვით.

5. ცვლილებები და დამატებები

5.1. კომპანია უფლებამოსილია წინამდებარე დაბრუნებისა და შეცვლის პოლიტიკაში ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილებები. დაბრუნებისა და შეცვლის პოლიტიკის განახლებული ვერსია გამოქვეყნდება კომპანიის ვებსაიტზე, მისი გამოქვეყნების თარიღის მითითებით, რაც ასევე მიიჩნევა განახლებული ვერსიის ძალაში შესვლის თარიღად.

5.2. კომპანია იტოვებს უფლებას დაბრუნებისა და შეცვლის პოლიტიკაში დროდადრო განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია ინდივიდუალურად მიაწოდოს მომხმარებლ(ებ)ს.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. პროდუქტის დაბრუნება და შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის თანხმობით წინამდებარე დაბრუნების წესების გათვალისწინებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაბრუნებისა და შეცვლის პოლიტიკასა და ვებსაიტზე განთავსებულ მოხმარების პირობებს შორის იქნება რაიმე წინააღმდეგობა, უპირატესობა მიენიჭება დაბრუნებისა და შეცვლის პოლიტიკით გათვალისწინებულ დებულებებს.